

საუღმის მეგზური

1. შესავალი

წინამდებარე მეგზური არის სტუდენტის სახელმძღვანელო, რომელიც განკუთვნილია უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სტუდენტებისთვის. მისი მიზანია კომპაქტურად წარმოადგინოს უნივერსიტეტში მოქმედი წესები, დაეხმაროს სტუდენტს საკუთარი ინტელექტუალური შრომის ეფექტურად წარმართვაში.

2. გარემოები და განმარტებები

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი – უნივერსიტეტის უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული სამართლებრივი აქტი, რომელიც ვრცელდება უნივერსიტეტის ფარგლებში და მისი შესრულება სავალდებულოა ყველა სუბიექტებისათვის (სტუდენტი, თანამშრომელი).

სასწავლო კურსი/დისციპლინა – პროგრამის ძირითადი კომპონენტი (მიკრო სასწავლო პროგრამა), რომლის საინფორმაციო-შემეცნებითი რესურსი სისტემატიზირებულია ერთი ან რამდენიმე საგნის ბაზაზე და ასრულებს გარკვეულ შემეცნებით ფუნქციას საგანმანათლებლო პროგრამით (მაკრო პროგრამა) დასახული საერთო მიზნების განხორციელების საქმეში.

წინა რეკვიზიტი / წინა პირობა - ასეთად იწოდება ის სასწავლო კურსი/დისციპლინა, რომელიც გარკვეულ ინფორმაციულ/თეორიულ საფუძველს ქმნის სხვა სასწავლო კურსის შესასწავლად.

3. აკადემიური სისტემა

ყოველ სპეციალობაზე აკადემიური პროცესი წარმართება აკადემიური პროგრამით (მაკრო პროგრამა), რომელიც მოიცავს ამა თუ იმ სპეციალობისთვის საჭირო ყველა პარამეტრს (მაგ.: საბაკალავრო პროგრამა ინგლისურ ენასა და ლიტერატურაში). მთელი აკადემიური პერიოდი იყოფა არა კურსებად (I კურსი, II კურსი...), არამედ აკადემიურ წლებად და სემესტრებად.

პროგრამა, თავის მხრივ, იყოფა მოდულებად, რომელიც შემეცნებითი მიზანშეწონილობის ნიშნით აერთიანებს ძირითად სასწავლო კომპონენტებს – სასწავლო კურსებს/დისციპლინებს (მიკრო სასწავლო პროგრამა).

4. სამართლებრივი ურთიერთობა

სტუდენტებთან სამართლებრივი ურთიერთობა რეგულირდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით, აგრეთვე, გენერალური და, მისი მომსახურე, შემადგენელი ხელშეკრულებით. ამ უკანასკნელის ხელმოწერლობა, სტუდენტის მხრიდან, განიხილება როგორც საფუძველი, პირადი სურვილით, სტუდენტის სტატუსის შეჩერებისათვის.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს:

- ა) ხელშეკრულების შეჩერება;
- ბ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;
- გ) ადმინისტრაციული ზომების გატარება.

5. ქვეყნის ეთიკა

სტუდენტის ქცევა არ უნდა სცილდებოდეს საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს, სტუდენტის ეთიკის კოდექსით და უნივერსიტეტში გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილ წესებს.

სტუდენტის კოდექსი განასხვავებს ქცევის ეთიკის დარღვევის მძიმე და მსუბუქ ფორმებს.

ქცევის ეთიკის მძიმე დარღვევად ჩაითვლება:

- ა) უნივერსიტეტის შენობის, ინვენტარის, აღჭურვილობის შეგნებულად დაზიანება, მოპარვა;
- ბ) უნივერსიტეტის შენობაში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე კონფლიქტური სიტუაციის შექმნა, მათ შორის, ძალადობის ნებისმიერი გამოვლენით ან მონაწილეობა ამ პროცესში;
- გ) ბილწისიტყვიერი, დამამცირებელი მიმართვა ან შეურაცხყოფელი მოქმედება სტუდენტებისა და თანამშრომლების მიმართ;
- დ) ალკოჰოლის და/ან ნარკოტიკული ზემოქმედების მდგომარეობაში ყოფნა უნივერსიტეტში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე;
- ე) ნებისმიერი სახის იარაღით, მათ შორის, ნებადართული, მოსვლა უნივერსიტეტში.
- ვ) სიგარეტის მოწევა დერეფანსა და აუდიტორიებში;

წინა აბზაცით დადგენილი დარღვევების ერთ-ერთი ფორმით გამოვლენის შემთხვევაში სტუდენტს უპირობოდ შეუწყდება სტატუსი სტუდენტის ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურით, ხოლო თუ, ამავე დროს, უნივერსიტეტს მიაღვა მატერიალური ზიანი - დაეკისრება ფინანსური სანქცია.

ქცევის ეთიკის მსუბუქ დარღვევად ჩაითვლება:

- ა) მობილური ტელეფონის გამოყენება მეცადინეობის პროცესში;
- ბ) აუდიტორიაში, მეცადინეობის დროს, უნებართვო მოძრაობა;
- გ) უცხო პირების მოწვევა უნივერსიტეტში;
- დ) უმისამართო ბილწისიტყვაობა უნივერსიტეტის შენობაში;
- ე) ყველა სხვა გადაცდომა, რომელიც ხელს შეუშლის უნივერსიტეტის სასწავლო-კვლევით და ორგანიზაციულ საქმიანობას და შელახავს სხვა პირთა ღირსებას.

წინა აბზაცით გათვალისწინებული დარღვევის შესახებ დეკანატი ნებისმიერი ფორმით აცხობინებს სტუდენტის მშობელს, მაგრამ ამის შეუძლებლობა არ ზღუდავს გადაწყვეტილების მიღებას ადმინისტრაციული ზომების მიღების შესახებ.

ქცევის ეთიკის დარღვევის აღკვეთისათვის უნივერსიტეტი უფლებამოსილია მიმართოს სამართალდამცავ ორგანოებს.

ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარების პროცედურის ან შედეგების მიმართ პრეტენზიის შემთხვევაში, სტუდენტი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს და/ან შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ორგანოს.

6. აკადემიური ეთიკა

აკადემიური პროცესის ორგანიზება და განხორციელება ეფუძნება ამ პროცესის სუბიექტთა ქცევის გარკვეულ სტანდარტს, რომელიც ქმნის ეთიკის ზოგად ნორმებს.

აკადემიური ეთიკის დარღვევად ჩაითვლება:

პლაგიატობა - გულისხმობს სხვისი ნაშრომის, იდეის, აზრის გამოყენებას ავტორის/წყაროს მითითების გარეშე. პლაგიატობის გამოვლენის შემთხვევაში წარდგენილი ნაშრომი არ ფასდება.

გადაწერა-კარნახი – გულისხმობს ერთი სტუდენტის მიერ მეორის ნამუშევრით სარგებლობას/გადაწერას, მათ შორის, საშინაო დავალების შესრულებისას; გამოცდებზე ან შუალედური შეფასების დროს წიგნების ან კონსპექტების გამოყენებას; შუალედურ/დასკვნით გამოცდაზე კარნახს. ასეთ შემთხვევებში, ლექტორი უფლებამოსილია მოხსნას სტუდენტები გამოცდიდან, ხოლო გადაწერის ფაქტის მოგვიანებით აღმოჩენისას, ორივე ნაშრომი არ შეაფასოს.

ფალსიფიკაცია - გულისხმობს ერთი და იგივე ნაშრომის წარდგენას სახეცვლილებით, მათ შორის, სათაურის შეცვლით; ყალბი ინფორმაციის და მონაცემების მოტანას; შეფასების შედეგების გაყალბებას და ა.შ. ამ შემთხვევაში ნაშრომი არ ფასდება.

ქცევა - იგულისხმება, რომ სტუდენტის ქცევა არ უნდა შეიცავდეს ნეგატიურ გამოვლინებებს. კერძოდ, ხმაური ლექციის მსვლელობისას, მობილური ტელეფონის გამოყენება და ა.შ. ამ შემთხვევაში ლექტორი უფლებამოსილია მოხსნას სტუდენტი მეცადინეობიდან.

დასწრება - მეცადინეობებზე დასწრება სავალდებულოა. თითოეული დისციპლინის ფარგლებში 20%-ზე მეტი გაცდენის შემთხვევაში, სტუდენტი არ დაიშვება შუალედურ შეფასებაზე.

საპატიოდ ჩაითვლება მხოლოდ ის საათები, რომელსაც, დასაბუთების შემდეგ, დეკანატი ჩათვლის მისაღებად.

პირველ მეცადინეობაზე ხუთ წუთზე მეტი დაგვიანება ჩაითვლება არასაპატიოდ. ლექტორი უფლებამოსილია სტუდენტი არ დაუშვას მეცადინეობაზე, მაგრამ მომდევნო მეცადინეობებზე ეს ნორმა არ ვრცელდება – სასწავლო პროცესის დაწყების შემდეგ სტუდენტი არ დაიშვება აუდიტორიაში.

საპატიო მიზეზად ითვლება ავადმყოფობა ან უბედური შემთხვევა, რომელიც დაკავშირებულია ახლო ნათესავებთან (კანონმდებლობით განსაზღვრულია ახლო ნათესავთა წრე).

როგორ უნდა მოიქცეს სტუდენტი ავადმყოფობის შემთხვევაში:

უნივერსიტეტში გამოცხადებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, წარმოდგენილ უნდა იქნეს სამედიცინო ცნობა ფორმა 100. ამასთან, სავალდებულოა – ავადმყოფობის პერიოდში დეკანატის ინფორმირება ტელეფონით ან ელექტრონული ფოსტით. 3 დღის შემდეგ ცნობა არ მიიღება (დეკანატი უფლებამოსილია შეამოწმოს ცნობის ნამდვილობა).

თუ მეცადინეობების გაცდენა, ავადმყოფობის მიზეზით, სისტემატურ ხასიათს ატარებს - საკითხი უნდა დადგეს აკადემიური შვებულების აღების ან სასწავლო კურსების ხელმეორედ გავლის შესახებ.

როგორ უნდა მოიქცეს სტუდენტი მეცადინეობის სხვა მიზეზით გაცდენის შემთხვევაში:

თუ მეცადინეობის გაცდენა დაკავშირებულია უბედურ შემთხვევასთან სტუდენტი მიმართავს განცხადებით დეკანს. თუ ამ უკანასკნელისგან დასტური არ იქნება მიღებული გაცდენილი საათები ჩაითვლება არასაპატიოდ.

თუ განცხადების დაწერა წინასწარ ვერ ხერხდება – აუცილებელია, უნივერსიტეტში გამოცხადებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, დაიწეროს განცხადება, რომლითაც დასაბუთდება გაცდენის მიზეზი. ამ შემთხვევაშიც დეკანი უფლებამოსილია შეამოწმოს ინფორმაციის ნამდვილობა. 3 დღის შემდეგ განცხადება არ მიიღება.

როგორც წესი, საპატიოდ ითვლება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული ორი მიზეზი, მაგრამ თუ სტუდენტს მიაჩნია, რომ მეცადინეობის გაცდენა გარდაუვალი უცილებლობით არის გამოწვეული დეკანატს შეუძლია განიხილოს ეს მოტივიც, მაგრამ შესაძლებელია წარდგენილი არგუმენტი მიუღებელი იყოს – განსაკუთრებით მაშინ, თუ პირადი მიზეზით გაცდენის შემთხვევები სისტემატური ხასიათისაა.

7. სტუდენტის მიერ მიღებული განათლების აღიარების აღიარება

სწავლის პერიოდში, სტუდენტის მიერ მიღებული განათლების აღიარებისათვის, უნივერსიტეტში მოქმედებს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS). ეს სისტემა სტუდენტის სრულ აკადემიურ დატვირთვას მოიცავს, განსაზღვრავს მის მიერ თითოეული სასწავლო კურსისთვის, ცალ-ცალკე, და აკადემიური პროგრამისთვის მთლიანად, შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას, რომლის საზომი, გამოსახული დროის ერთეულებში, არის კრედიტი.

კრედიტები ნაწილდება აკადემიური პროგრამის შემადგენელ კომპონენტებს შორის (სასწავლო კურსები, პროფესიული პრაქტიკა, საკვალიფიკაციო ნაშრომი და ა.შ.) და მოიცავს სტუდენტის მიერ ყველა იმ სამუშაოზე დახარჯულ დროს, რომელიც დაკავშირებულია პროგრამული მიზნების/ამოცანების გადაწყვეტასთან.

ეს დრო გულისხმობს როგორც საკონტაქტო საათებს (როდესაც პროფესორი/მასწავლებელი უშუალოდ არის ჩართული სტუდენტის ან სტუდენტთა ჯგუფის სწავლის პროცესში), ისე სტუდენტის დამოუკიდებელ მუშაობას - გამოცდებისთვის მზადებას, სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობას, სემინარებისთვის მომზადებას და ა.შ.

უნივერსიტეტში, სრული აკადემიური პროგრამის პირობებში, სტუდენტის დატვირთვა, წლის განმავლობაში 60 კრედიტს ანუ 1500 საათს შეადგენს, სადაც ერთი კრედიტი 25 სამუშაო საათს უდრის და მოიცავს 38 კვირას.

შესაძლებელია სტანდარტულზე მეტი რაოდენობის კრედიტების დაგროვება, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა წელიწადში.

სასწავლო კურსი განისაზღვრება ერთი სემესტრით. კრედიტები ნაწილდება საშუალო აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტის შესაძლებლობების გათვალისწინებით. კრედიტების მიღება შესაძლებელია კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრული სწავლის შედეგების დადებითად შეფასების შემდეგ.

8. სწავლის ხანგრძლივობა

სწავლის ხანგრძლივობა ზოგადად მოიცავს წელიწადში 38 კვირას (იგულისხმება სესიების პერიოდიც), ხოლო სემესტრების რაოდენობა განისაზღვრება საგანმანათლებლო საფეხურების მიხედვით. სტანდარტული რაოდენობაა:

- ა) საბაკალავრო პროგრამებისათვის – 8 სემესტრი;
- ბ) დიპლომირებული სტომატოლოგის პროგრამისთვის – 10 სემესტრი.

თუ დადგენილ ვადაში სტუდენტი ვერ დააგროვებს საჭირო ოდენობით კრედიტებს - არ დაიშვება საკვალიფიკაციო გამოცდაზე (თუ ეს გათვალისწინებულია პროგრამით). ამ, და სხვა შემთხვევაში (როდესაც პროგრამა არ ითვალისწინებს საკვალიფიკაციო გამოცდას), მას უფლება აქვს დაასრულოს სასწავლო ციკლი, მაგრამ არა უმეტეს მომდევნო 4 სემესტრის მანძილზე. ამისთვის მან განცხადებით უნდა მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს სტუდენტის სტატუსის გაგრძელების შესახებ. დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში გამოიცემა შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი.

წინა აბზაცით გათვალისწინებულ შემთხვევაში თუ სტუდენტი, სასწავლო ციკლის ფორმალური ვადის დასრულებიდან 2 კვირის მანძილზე განცხადებით არ მიმართავს რექტორს სტუდენტის სტატუსის გაგრძელების შესახებ, ძალაში შევა პროცედურა სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ.

იმ შემთხვევაში თუ სტუდენტისათვის დადგენილი ვადა არ იქნება საკმარისი კრედიტების დასაგროვებლად – უფლება აქვს კვლავ მოითხოვოს სტუდენტის სტატუსის გაგრძელება, მაგრამ სასწავლო აქტივობის დაგეგმვისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას პროგნოზული ცვლილებები შესაბამისი წინა რეკვიზიტების გათვალისწინებით.

9. შეფასება

შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები სასწავლო კურსისა და, მთლიანობაში, აკადემიური პროგრამის დონეზე, შესაბამის მიზნებთან და შედეგებთან მიმართებით.

10. შეფასების სისტემა

შეფასების სისტემა ორ ელემენტად იყოფა - შუალედური და შემაჯამებელი შეფასება. თითოეულს თავისი პროცენტული წილი აქვს, შესაბამისად, 60 და 40 პროცენტი. ამრიგად, სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასებაა 100%.

შუალედური შეფასების ელემენტი იყოფა კომპონენტებად. მათ თავისი პროცენტული წილი აქვთ ელემენტის ფარგლებში.

სასწავლო კურსი გრძელდება ერთი სემესტრის მანძილზე. სტუდენტის ცოდნის შეფასების მიზნებისათვის სემესტრი იყოფა 3 ხუთკვირეულად, ანუ ყოველი მეხუთე კვირის ბოლოს მოხდება ე.წ. შუალედური შეფასება (პოსტსემინარი ან შუალედური გამოცდა). შეფასების მეთოდები განსაზღვრულია ცალკეული დისციპლინის სილაბუსში.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში აღებული აქვს მინიმუმ 11% და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება არანაკლებ 51% (11%+40%).

სტუდენტის სწავლის შედეგები ფასდება 100 ქულიანი სისტემით (მინიმალური ზღვარით 51), თუმცა ყოველი კონკრეტულ აქტივობას (პრეზენტაცია, ტესტი, საშინაო დავალება და სხვ.) თავისი პროცენტული წილი აქვს მნიშვნელობის მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია სილაბუსით. მაგალითად: პრეზენტაცია (ან ესსე, ან ტესტი, ან ქეისი და მისთ.) ფასდება მაქსიმალური ქულით (100), მაგრამ მისი პროცენტული წილი, შუალედური შეფასების (60%) ფარგლებში, შეიძლება იყოს 20%, ანუ, თუ 100 ქულიდან სტუდენტის პრეზენტაცია შეფასდა 71 ქულით, ეს იმას ნიშნავს, რომ მან შუალედური შეფასების ელემენტის ფარგლებში (60%) აიღო 15% (71X20%).

გასათვალისწინებელია ის, რომ 51-ზე ნაკლები ქულის მიღების შემთხვევაში ეს ქულა გაანგარიშების დროს მხედველობაში არ მიიღება, რადგან, ცოდნად ჩაითვლება სასწავლო მასალის ნახევარზე მეტი მოცულობის ფლობა.

შუალედური შეფასების ძირითადი კომპონენტებია: აქტივობა, პოსტსემინარი, შუალედური გამოცდა.

აქტივობა – გულისხმობს სტუდენტის მიერ სემინარულ/პრაქტიკულ მეცადინეობებზე შესრულებულ სამუშაოს (ქვიზი, პრეზენტაცია, ქეისი და ა.შ.) და საშინაო დავალების მომზადებას.

პოსტსემინარი - რამდენიმე თემის შემაჯამებელი სემინარია, რომელზეც სასწავლო გეგმით დაგეგმილი მეთოდებით ფასდება თემების ფარგლებში მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევები. პოსტსემინარი ტარდება პირველი და მესამე ხუთკვირეულის ბოლოს.

შუალედური გამოცდა - ტარდება მეორე ხუთკვირეულის ბოლოს სასწავლო გეგმით მითითებული მეთოდით. მისი მიზანია განვლილი მასალის ფარგლებში მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება.

დასკვნითი გამოცდა - შემაჯამებელი შეფასების კომპონენტია, რომელიც ტარდება სემესტრის ბოლოს, მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების მიზნით, სასწავლო გეგმით განსაზღვრული მეთოდით.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დანართით შეფასებას:

- (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81% - 90%
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71% - 80%
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61% - 70%
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51% - 60%

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41% - 50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას დისციპლინა ახლიდან აქვს შესასწავლი.

წარმოდგენილი შეფასების სისტემა ძალაში შედის შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შედეგების დაჯამების საფუძველზე, ხოლო შეფასება, ცალკეული კომპონენტის მიხედვით (პრეზენტაცია, ტესტი, ქეისი და სხვა.), როგორც ზევით ითქვა, ფასდება ქულით, რომლის მინიმალური ზღვარია, ასევე, 51 ქულა. (დეტალები იხ. ქვევით)

სტუდენტის საბოლოო შეფასება მიიღება შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასებების დაჯამების საფუძველზე.

სემესტრული სწავლის შედეგების FX-ით შეფასებისას, დამატებით გამოცდაზე გასვლა შესაძლებელია იმავე სემესტრში, ერთხელ, გამოცდიდან ერთი თვის ვადაში, მაგრამ არანაკლებ 10 დღის შუალედით. წარუმატებლობის შემთხვევაში, კონკრეტული სასწავლო კურსი სტუდენტმა ხელმეორედ უნდა გაიაროს.

F-ით შეფასების შემთხვევაში გადაბარება მოკლე დროში არ დაიშვება. სასწავლო კურსი ხელმეორედ უნდა იქნას გავლილი.

შუალედური შემოწმებასა და დასკვნით გამოცდაზე გამსვლელი შეფასების შემთხვევაში, შესაბამისი კომპონენტის გადაბარება ქულის ან პროცენტის მომატების მიზნით არ დაიშვება.

საპატიო მიზეზით შუალედური შემოწმების ერთ-ერთი კომპონენტის გამოტოვების შემთხვევაში, დეკანს შეუძლია მისი ჩაბარების ნება დართოს სტუდენტს.

შეფასებასთან დაკავშირებული მომსახურების ყველა ფორმა, რომელიც სცილდება დაგეგმილს, განიხილება როგორც დამატებითი სერვისი და საჭიროებს დამატებით ფინანსურ უზრუნველყოფას. შესაბამისი სახელაურის ოდენობას განსაზღვრავს ადმინისტრაცია.

როგორ ხდება დისციპლინის შემაჯამებელი შეფასების გაანგარიშება:

მაგალითი 1

ვთქვათ, "X" დისციპლინის პირველი ხუთკვირეულის შუალედური შეფასების კომპონენტებია - აქტივობა (5%), პოსტსემინარი (10%), მეორე ხუთკვირეულის შუალედური შეფასების კომპონენტებია - აქტივობა (5%), შუალედური გამოცდა (20%), მესამე ხუთკვირეულის შუალედური კომპონენტებია - აქტივობა (5%), პოსტსემინარი (15%).

დავუშვათ, პირველი ხუთკვირეულის 3 სემინარული დავალებიდან (აქტივობა) სტუდენტმა შეასრულა მხოლოდ 2 და მიიღო შემდეგი შეფასებები - 70 ქულა და 84 ქულა. აღნიშნული ქულები ჯამდება და იყოფა ჩატარებული სემინარების რაოდენობაზე, ანუ $(75 + 84) : 3 = 53$. ვინაიდან, აქტივობის წილი 5%-ია, სტუდენტის აქტივობა შეფასდება - 3%-ით ($53 \times 5\%$).

თუ პოსტსემინარი შეფასდა 70 ქულით, ეს ნიშნავს, რომ სტუდენტმა ამ კომპონენტში 7% აიღო ($70 \times 10\%$).

მაგალითი 2

დავუშვათ, მეორე ხუთკვირეულის 4 სემინარული დავალებიდან სტუდენტმა შეასრულა ოთხივე და მიიღო შემდეგი შეფასებები - 65 ქულა, 80 ქულა, 78 ქულა, 83 ქულა. აღნიშნული ქულები ჯამდება და იყოფა ჩატარებული სემინარების რაოდენობაზე, ანუ $(65+80+78+83) : 4 = 77$. ვინაიდან, აქტივობის წილი 5%-ია, სტუდენტის მუშაობა შეფასდება - 4%-ით ($77 \times 5\%$).

თუ შუალედური გამოცდა შეფასდა 85 ქულით, ეს ნიშნავს, რომ სტუდენტმა ამ კომპონენტში 17% აიღო ($85 \times 20\%$).

მაგალითი 3

დავუშვათ, მესამე ხუთკვირეულის 3 სემინარული დავალებიდან სტუდენტმა არ შეასრულა არცერთი. შესაბამისად, აქტივობა შეფასდება - 0.

თუ პოსტსემინარი შეფასდა 75 ქულით, ეს ნიშნავს, რომ სტუდენტმა ამ კომპონენტში 11% აიღო ($75 \times 15\%$).

მაგალითი 4

დაუშვათ დასკვნით გამოცდაზე სტუდენტი შეფასდა 65 ქულით. ეს ნიშნავს, რომ სტუდენტმა ამ კომპონენტში 26% აიღო (65X40%).

შუალედურ შეფასებებში მიღებული შედეგებს, სემესტრის ბოლოს, ემატება დასკვნითი გამოცდის შედეგი, რითაც მივიღებთ აღნიშნულ სასწავლო დისციპლინაში სტუდენტის სემესტრულ შეფასებას.

შემაჯამებელი შეფასება გამოითვლება შემდეგნაირად:

I ხუთკვირეული		II ხუთკვირეული		II ხუთკვირეული		დასკვნითი გამოცდა	სემესტრული შეფასება
აქტივობა	პოსტ-სემინარი	აქტივობა	შუალედური გამოცდა	აქტივობა	პოსტსემინარი		
5%	10%	5%	20%	5%	15%	40%	100%
53	70	7	85	0	75	65	
3%	7%	4	17%	0	11%	26%	68%

ანუ

$$(53 \times 5\%) + (70 \times 10\%) + (77 \times 5\%) + (85 \times 20\%) + (0 \times 5\%) + (75 \times 15\%) + (65 \times 40\%) = 68\%$$

ამრიგად, სტუდენტმა აღნიშნულ დისციპლინაში აიღო 68% - (D), რაც დადებითი შეფასებაა და სტუდენტს დისციპლინა ჩაბარებულად ეთვლება.

შეფასების გაანგარიშებისას წარმოდგენილ მაგალითში მოცემულმა შედეგებმა შეიძლება სხვა კონფიგურაცია მიიღოს მეცადინეობების არასაპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში, რადგან მეცადინეობებზე დასწრება განიხილება სტუდენტის სოციალური როლის განუყოფელ კომპონენტად და ხარისხიანი განათლების მიღების აუცილებელ პირობად.

აქედან გამომდინარე, არასაპატიო მიზეზით მეცადინეობების გაცდენა აისახება აკადემიურ შედეგებზე. კერძოდ: იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული ხუთკვირეულის ფარგლებში (ცალკეულ დისციპლინაში) გაცდენები შეადგენს 20%-ს, სტუდენტი არ დაიშვება შუალედური შეფასების პროცედურაზე, ანუ ამ ხუთკვირეულის ფარგლებში სტუდენტის შეფასება იქნება - 0.

ამდენად, სრულიად უნდა გამოირიცხოს არასაპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევები, რადგან ამან კონკრეტულ დისციპლინაში სტუდენტის სემესტრული შეფასება შესაძლოა ზღვარს (51%) ქვემოთ დაწიოს, შესაბამისად, გამოიწვიოს დისციპლინის ხელმეორედ გავლის აუცილებლობა ან გადაბარება (სტუდენტის სურვილით), რაც დაკავშირებულია დამატებით ფინანსურ დანახარჯებთან.

უნივერსიტეტში ასევე მოქმედებს სწავლის შედეგების საშუალო ქულის (GPA) დაანგარიშების წესი.

GPA (Grade Point Average) - არის კურსდამთავრებულთა სწავლის შედეგების საშუალო ქულა, რომელიც გამოითვლება სრული სასწავლო კურსის დასრულებისას შემდეგი წესის მიხედვით:

1. კურსდამთავრებულის მიერ თითოეულ დისციპლინაში მიღებული შეფასების შესაბამისი კოეფიციენტი (ცხრილი №2) მრავლდება ამავე დისციპლინის კრედიტზე.

2. პირველი პუნქტით მიღებული ნამრავლთა ჯამი იყოფა საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების საერთო რაოდენობაზე.
3. მეორე პუნქტით მიღებული შედეგი წარმოადგენს კურსდამთავრებულის სწავლის შედეგების საშუალო ქულას.

მაგალითი:

5 კრედიტიან დისციპლინაში „ბიზნეს კომუნიკაციები ინგლისურად“ სტუდენტის საბოლოო შეფასებაა 85, რაც შესაბამისობის ცხრილის მიხედვით 3.1 კოეფიციენტის ტოლია. ეს უკანასკნელი მრავლდება აღნიშნული დისციპლინის კრედიტზე, ანუ, $3.1 \times 5 = 15.5$

მიღებული სიდიდე წარმოადგენს სტუდენტის მიერ ზემოაღნიშნულ დისციპლინაში მიღებული საბოლოო შეფასების საშუალო ქულას (GPA).

მოცემული ფორმულის მიხედვით ანგარიშდება თითოეული დისციპლინის GPA ქულა. მიღებული შედეგები ჯამდება და იყოფა საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების საერთო რაოდენობაზე:

$373 / 120 = 3.1$ მიღებული სიდიდე წარმოადგენს კურსდამთავრებულის სწავლის შედეგების საშუალო (GPA) ქულას.

ცხრილი №1. დიპლომის დანართი. პუნქტი 4.3. პროგრამის დეტალები და მიღებული ინდივიდუალური ნიშნები

კოდი	დისციპლინის დასახელება	სემესტრი	ნიშანი	შეფასება	კრედიტი
BUS 201C	ბიზნეს კომუნიკაციები ინგლისურად	1	B	85	5
BUS 202C	ბიზნეს კომუნიკაციები გერმანულად	1	C	80	5
BUS 203C	ბიზნესის სამართლებრივი გარემო	1	C	77	5
BUS 204C	მენეჯერული ეკონომიკა	1	B	85	5
BUS 205C	ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება	1	B	82	5
BUS 206C	კორპორაციათა ფინანსები	1	B	90	5
BUS 207C	მარკეტინგის მენეჯმენტი	2	B	88	5
BUS 210C	ოპერაციების მენეჯმენტი	2	B	85	5
BUS 212C	საერთაშორისო ბიზნეს სტრატეგიები	2	A	92	5
BUS 214C	ფასიანი ქაღალდები და საერთაშორისო საფინანსო ბაზრები	2	B	90	5
BUS 219C	ენერგეტიკის მენეჯმენტი	2	B	90	5
UNI 201C	კვლევის მეთოდები	2	B	85	5
BUS 215C	ფინანსური ანალიზი	3	C	78	5
BUS 218C	ენერგეტიკის ეკონომიკა	3	B	87	5
BUS 209C	პრობლემური სემინარი	3	B	82	5
BUS 211C	პროექტების მენეჯმენტი	3	A	93	5
BUS 213C	რისკ მენეჯმენტი	3	B	88	5
BUS 216C	ინვესტიციების ანალიზი	3	C	75	5
BUS 217C	პორტფელიო მენეჯმენტი	4	C	80	5
BUS 221C	ენერგეტიკის ბიზნესი	4	B	85	5
BUS 234C	პროფესიული პრაქტიკა	4	B	88	10
BUS 235C	სამაგისტრო ნაშრომი	4	B	85	10
მიღებული შედეგი:			B	85	120

ცხრილი №2. GPA კოეფიციენტის შესაბამისობა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში მოქმედ შეფასების სისტემასთან

შეფასება	GPA კოეფიციენტი	ხარისხი
100	4.0	A
99	3.9	
98	3.9	
97	3.8	
96	3.8	
95	3.7	
94	3.7	
93	3.6	
92	3.5	
91	3.5	
90	3.4	B
89	3.3	
88	3.3	
87	3.2	
86	3.2	
85	3.1	
84	3.1	
83	3.0	
82	2.9	C
81	2.9	
80	2.8	
79	2.7	
78	2.7	
77	2.6	
76	2.6	
75	2.5	
74	2.5	
73	2.4	
72	2.3	D
71	2.3	
70	2.2	
69	2.1	
68	2.1	
67	2.0	
66	2.0	
65	1.9	
64	1.9	E
63	1.8	
62	1.7	
61	1.7	
60	1.6	
59	1.5	
58	1.5	
57	1.4	
56	1.4	
55	1.3	
54	1.3	
53	1.2	
52	1.1	
51	1.0	

11. შიდა მობილობა

შიდა მობილობა გულისხმობს უნივერსიტეტის სტუდენტის გადასვლას ერთი სკოლ-
იდან/პროგრამიდან მეორეზე.

შიდა მობილობა დაიშვება პირველი აკადემიური წლის I სემესტრის დასრულების
შემდეგ.

შიდა მობილობის მიზნებისთვის პირველი აკადემიური წლის სტუდენტი
უფლებამოსილია აირჩიოს ცალკეული დისციპლინა სასურველი პროგრამიდან,
რისთვისაც მოქმედებს მომდევნო პარაგრაფის მე-10 აბზაცით გათვალისწინებული
ნორმა, ხოლო სემესტრის დაწყებამდე არა უგვიანეს 20 დღისა სტუდენტი მიმართავს
რექტორს განცხადებით, რომელიც გადაეცემა მობილობისა და რეგისტრაციის
ცენტრს, ხოლო არჩეული პროგრამიდან გავლილი დისციპლინების კრედიტები
აღიარებულ იქნება დადგენილი წესით.

წინა აბზაცისგან განსხვავებულ შემთხვევაში სტუდენტი პირდაპირ მიმართავს რექ-
ტორს განცხადებით შიდა მობილობის განხორციელების სურვილით, არა უგვიანეს
20 დღით ადრე.

იმ შემთხვევაში თუ სხვა პროგრამაზე სწავლის საზღაური განსხვავებულია სტუ-
დენტს დაეკისრება საზღაურის ის ოდენობა, რაც დაწესებულია არჩეულ პროგრამაზე,
თუ არ არის მიღებული სხვა გადაწყვეტილება.

12. სემესტრული რეგისტრაცია

ყოველი სემესტრის დასაწყისში, ადმინისტრაციის მიერ დადგენილ ვადაში, სტუდენტი
გადის ორი ტიპის რეგისტრაციას:

- ა) ადმინისტრაციულს – იგულისხმება დადგენილ ვადაში სწავლის ღირებულების
გადახდა;
- ბ) აკადემიურს – იგულისხმება სასწავლო კურსებზე, დამატებით პროგრამასა და
თავისუფალ კომპონენტებზე რეგისტრაცია. უფრო კონკრეტულად:

ძირითადი პროგრამის დისციპლინების კრედიტები განაწილებულია იმგვარად, რომ
სტუდენტს შეუძლია ძირითადთან ერთად აირჩიოს დამატებითი პროგრამა და სხვა
დისციპლინები, რომელიც თავისუფალ კომპონენტებად იწოდება ან მხოლოდ თავ-
ისუფალი კომპონენტები, მაგრამ არა უმეტეს 75 კრედიტისა წელიწადში. თავისუფალი
კომპონენტების ფორმატით შესაძლებელია არჩეულ იქნას სასწავლო დისციპლინე-
ბი უნივერსიტეტში მოქმედი სხვა პროგრამებიდანაც, წინა რეკვიზიტების გათვალ-
ისწინებით.

რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის (სამართალმცოდ-
ნეობა, სტომატოლოგია) დამატებითი პროგრამის არჩევა არ დაიშვება, ხოლო თავ-
ისუფალი კომპონენტების ფარგლებში შესაძლებელია კრედიტების დაგროვება ძირი-
თადი პროგრამით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით.

სრული საგანმანათლებლო პაკეტის ძირითადი სტრუქტურა შემდეგნაირია:

ა. საავადმყოფო საუნივერსიტეტო დისციპლინები	15-20 კრედიტი
ბ. არჩევითი საუნივერსიტეტო დისციპლინები მინიმალური კრედიტების დაგროვების აუცილებლობით	10 კრედიტი
გ. ძირითადი პროგრამა	120+ კრედიტი
დ. დამატებითი პროგრამა	60 კრედიტი
ე. თავისუფალი კომპონენტები	20-90 კრედიტი

საუნივერსიტეტო დისციპლინები მოცემულია მოდულების სახით, ხოლო თავისუფალი კომპონენტები წარმოდგენილია მიმართულების მიხედვით.

ძირითადი პროგრამის დისციპლინები, ძირითადად, სავალდებულოა, ამდენად რეგისტრაცია ხდება მთლიან პროგრამაზე ავტომატურად, პირველ აკადემიურ წელს, სტუდენტის ჩარიცხვისთანავე.

დამატებით პროგრამას და თავისუფალ კომპონენტებს სტუდენტები ირჩევენ და რეგისტრირდებიან სემესტრის დაწყებამდე არა უგვიანეს 2 კვირით ადრე.

პირველი აკადემიური წლის სტუდენტები დამატებითი პროგრამის და თავისუფალი კომპონენტების არჩევანს აკეთებენ მე-2 სემესტრის დაწყებამდე წინა აბზაციით გათვალისწინებული ვადის დაცვით, ხოლო პირველი სემესტრის დაწყებამდე ან დაწყებიდან არა უგვიანეს 3 დღით ვადაში, რეგისტრირდებიან საუნივერსიტეტო თავისუფალ კომპონენტებზე, თუ ამის შესაძლებლობას იძლევა პროგრამა.

არ დაიშვება იმ სასწავლო დისციპლინის გავლა, რომლის წინა რეკვიზიტში სტუდენტს არა აქვს კრედიტი მიღებული.

მაგალითად, თუ X დისციპლინა არის Y დისციპლინის წინა რეკვიზიტი და სტუდენტი X დისციპლინაში ვერ მიიღებს კრედიტს, იგი არ დაიშვება Y დისციპლინაზე. ამდენად, სასურველია ყველა სემესტრული გამოცდა დროულად ჩაბარდეს. სხვა შემთხვევაში შეიძლება დაგროვდეს ბევრი დისციპლინა, რომლის გავლა არაერთ უხერხულობასთან არის დაკავშირებული.

ერთ და იმავე სავალდებულო დისციპლინაზე ორჯერ რეგისტრაციისა და კრედიტების დაუგროვლობის შემთხვევაში – საკითხი დადგება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი რომელიმე არჩევით დისციპლინაში ორჯერ გავლის მიუხედავად, ვერ დააგროვებს შესაბამის კრედიტებს, შეუძლია შეცვალოს სასწავლო დისციპლინა (თუ ამის საშუალებას იძლევა პროგრამა) ან თვით პროგრამა, წინააღმდეგ შემთხვევაში უნივერსიტეტი უფლებამოსილია სტუდენტს შეუწყვიტოს სტატუსი.

დასაშვებია ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის ვადის განსაზღვრა სხვადასხვა დროს ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით.

იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს არ შეუძლია ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა დადგენილ დროს, იგი ვალდებულია მიმართოს ადმინისტრაციას განცხადებით, რომელშიც დასაბუთებული იქნება რეგისტრაციის გაუვლელობის მიზეზი, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ძალაში შევიდეს სტუდენტის სტატუსის შეჩერების პროცედურა.

შესაძლებელია ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის გარეშე სტუდენტის დაშვება აკადემიურ რეგისტრაციასა და მეცადინეობებზე თუ იმ დროისთვის არ არის მიღებული სხვა გადაწყვეტილება.

წინა აბზაციით გათვალისწინებული პირობის არსებობის შემთხვევაში, სტუდენტი კარგავს მიღებული განათლების აღიარების უფლებას ვიდრე არ მოახდენს ადმინისტრაციულ რეგისტრაციას.

აკადემიურ რეგისტრაციამდე სტუდენტს შეუძლია გაეცნოს შეთავაზებულ სასწავლო კურსების/პროგრამების ვრცელ ანოტაციას/სილაბუსებს.

აკადემიური რეგისტრაციის პროცედურა:

- ა. რეგისტრაციის ფანჯარა იხსნება მიმდინარე სემესტრის სასესიო პერიოდის (გამოცდების) დასრულების შემდეგ, ხოლო იხურება 3 დღით ადრე მომდევნო სემესტრის დაწყებამდე.
- ბ. იმ პერიოდში, ვიდრე რეგისტრაციის ფანჯარა გახსნილია, სტუდენტს რამდენჯერმე შეუძლია არჩევანის შეცვლა, მაგრამ ფანჯრის დახურვის შემდეგ ცვლილებების შეტანა პროგრამულად შეუძლებელი გახდება, რაც ნიშნავს იმას, რომ სტუდენტი გარკვეული რაოდენობის კრედიტებს ვერ დაგროვებს.
- გ. პროგრამამ შეიძლება სტუდენტი არ დაარეგისტრიროს კონკრეტულ დისციპლინაზე თუ:
 - სტუდენტს უგროვდება, შესაბამის სასწავლო წელს, 75 კრედიტზე მეტი;
 - ირღვევა ჯგუფების რაოდენობრივი ქვოტა (თუ ასეთი დაწესებულია);
 - იმაზე ნაკლები რაოდენობის სტუდენტია ჯგუფში, ვიდრე ეს დადგენილია სტანდარტით (არაუმეტეს 30, არანაკლებ 10);

13. ღაპაღაბის შუასაბაბა

ყველა აკადემიური პროგრამა ითვალისწინებს დავალებების დამოუკიდებლად შესრულებას როგორც მცირე, ისე ფართო ფორმატით – სასწავლო კვლევითი ან შემოქმედებითი პროექტის სახით.

ყველა ტიპის დავალების ჩაბარება დაგეგმილ ვადაში აუცილებელია. დავალების მიცემისას პროფესორი კიდევ ერთხელ აზუსტებს ჯგუფის წინაშე ნაშრომის წარდგენის ვადას. ობიექტურ გარემოებათა გამო შესაძლოა პროფესორის მიერ დათქმული ვადა არ დაემთხვეს გრაფიკში მითითებულს. ასეთ შემთხვევაში, სტუდენტისთვის, საორიენტაციოდ, პროფესორის მიერ გაცხადებული დრო ითვლება. გრაფიკში კორექტივის შეტანის შესახებ, როგორც წესი, პროფესორმა უნდა აცნობოს დეკანატს.

დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ ნაშრომი მიიღება შესაფასებლად, მაგრამ ამ შემთხვევაში მაქსიმალურ ზღვრად ჩაითვლება 70 ქულა, ამასთან, თუ ეს ნაშრომი ვადის გასვლის შემდგომი ხუთი სამუშაო დღის ვადაში ბარდება.

თუ ნაშრომი მეორე ვადის გასვლის მომდევნო ხუთ სამუშაო დღეში ბარდება, შეფასების მაქსიმალური ზღვარია 55 ქულა. მესამე ვადაში ჩაბარებული დავალება არ ფასდება.

სტუდენტს შეუძლია მოითხოვოს დავალების ჩაბარების გადავადება თუ ამისთვის არსებობს კვლევასთან დაკავშირებული პრობლემები ან სხვა საპატიო მიზეზები.

გადავადების თხოვნით სტუდენტი განცხადებით მიმართავს სასწავლო კურსის ხელმძღვანელს, მხოლოდ მისი დასტურის შემთხვევაში ითვლება გადავადებულად ნაშრომის წარმოდგენის ვადა.

სტუდენტმა გადავადების თხოვნით განცხადებით უნდა მიმართოს ადრესატს დადგენილი ვადის გასვლამდე არაუგვიანეს სამი დღით ადრე. ამ ვადის გასვლის შემდეგ განცხადება არ მიიღება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საპატიო მიზეზით გამოწვეული შეფერხება აღნიშნულ სამ დღეს მოიცავს.

დავალება იწერება სპეციალურ რვეულში, რომელსაც თან ახლავს გამსწორებლის კომენტარი დაშვებულ შეცდომებთან დაკავშირებით – სტუდენტი ყურადღებით უნდა გაეცნოს და გაითვალისწინოს სხვა დავალებების შესრულების დროს.

14. კვალიფიკაციის მინიჭება

შესაბამისი კვალიფიკაციისა და დიპლომის მინიჭებისათვის აუცილებელია პროგრამით დადგენილი კრედიტების დაგროვება:

- ა) ბაკალავრის კვალიფიკაციის მინიჭებისათვის – არანაკლებ 240 კრედიტი;
- ბ) დიპლომირებული სტომატოლოგის კვალიფიკაციის მინიჭებისათვის არანაკლებ 300 კრედიტი.

კვალიფიკაციის მინიჭება დასტურდება ორი ხარისხის დიპლომით – წარჩინების დიპლომი, დიპლომი.

დიპლომის ხარისხი განისაზღვრება შემდეგნაირად:

- ა) წარჩინების დიპლომის მინიჭებისათვის სწავლის შედეგების შეფასების ზღვარია 91%+.
- ბ) დიპლომის მინიჭებისათვის – 51-90%.

დიპლომის მიღების წინა პირობაა 240/300 კრედიტის დაგროვება.

15. კვალიფიკაციის მინიჭების საუქვლაუი

კვალიფიკაციის მინიჭებისათვის, საბაკალავრო დონეზე, სრული პროგრამული ციკლისთვის დადგენილი კრედიტების დაგროვების გარდა, პროგრამამ შეიძლება განსაზღვროს საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვის აუცილებლობა.

იმ შემთხვევაში თუ პროგრამა არ ითვალისწინებს საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვას - კვალიფიკაციის მინიჭება ხდება სრული საგანმანათლებლო ციკლის მანძილზე მიღწეული შედეგებით, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ დამამთავრებელი წლის, მაპროფილებელი დისციპლინების დასკვნითი გამოცდის საკითხები შეიცავს სრული პროგრამული ციკლის პერიოდში შესწავლილ მასალას. საკვალიფიკაციო ნაშრომების დაცვისათვის სკოლებში მოქმედებს საატესტაციო საბჭო.

იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი არ გამოცხადდება ან არ იქნება დაშვებული (კრედიტების დაუგროვებლობის გამო) საკვალიფიკაციო გამოცდაზე, ან მიიღებს უარყოფით შეფასებას, იგი უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებითი საკვალიფიკაციო გამოცდის დანიშვნა, მაგრამ არა უგვიანეს 4 თვის შემდეგ, რისთვისაც სტუდენტს დაეკისრება დამატებითი სერვისის საზღაური ადმინისტრაციის მიერ დადგენილი ოდენობით.

იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი დამატებით საკვალიფიკაციო გამოცდაზე მიიღებს უარყოფით შეფასებას და/ან არ გამოიყენებს წინა აბზაცით გათვალისწინებულ შესაძლებლობას – ვალდებულია 2 კვირის ვადაში დაწეროს განცხადება საკვალიფიკაციო გამოცდაზე ხელმეორედ გასვლისა და სტუდენტის სტატუსის გაგრძელების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში ავტომატურად შევა ძალაში პროცედურა ამ სტატუსის შეჩერების შესახებ დაუსწრებლად.

სტუდენტს უფლება აქვს გამოიყენოს საკვალიფიკაციო გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან მომდევნო 5 წლის მანძილზე, რისთვისაც მოქმედებს სტუდენტის სტატუსის აღდგენასთან დაკავშირებული პროცედურა.

16. საბაკალავრო ნაშრომი

საბაკალავრო ნაშრომი არის წერითი ან შემოქმედებითი ხასიათის პროექტი, რომელიც უნდა შეასრულოს სტუდენტმა აკადემიური პროგრამის დასრულების ბოლოს და

დაიცვას საატესტაციო საბჭოს ღია სხდომაზე. ნაშრომში უნდა გამოვლინდეს.

სტუდენტის ცოდნის დონის, შემოქმედებითი და კვლევითი უნარ-ჩვევების ხარისხის შესაბამისობა აკადემიური პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები ეყრდნობა უნივერსიტეტში მოქმედი ზოგადი შეფასების კრიტერიუმებს, თუმცა ცალკეულ პროგრამას შეუძლია განსაზღვროს დამატებითი კრიტერიუმები.

საბაკალავრო ნაშრომი, შეფასების საერთო სისტემაში, განისაზღვრება დამოუკიდებელი პროცენტული წილით, ხოლო დაცვის შედეგად მიღებული შეფასება აღინიშნება დიპლომის დანართში.

17. შეფასების განხილვა

თუ სტუდენტი თვლის, რომ მისი ცოდნა ამა თუ იმ დისციპლინის კონკრეტული ელემენტის ან დასკვნითი გამოცდის ფარგლებში ობიექტურად არ შეფასდა, ან მიაჩნია, რომ არსებობს ობიექტური ფაქტორი, რომელმაც განაპირობა მისთვის მიუღებელი შეფასება, მას შეუძლია დასაბუთებული განცხადებით მიმართოს დეკანს.

საჩივარი მიიღება შეფასების გაცნობიდან 3 დღის ვადაში.

საჩივარს განიხილავს დეკანის მიერ შექმნილი დროებითი კომისია. განცხადება განიხილება მისი რეგისტრაციიდან არა უმეტეს 10 დღის ვადაში.

საჩივრის განხილვის დროს კომისია ითვალისწინებს შემფასებლის აკადემიური თავისუფლებისა და შეფასების თავისუფალი სივრცის უზრუნველყოფის პრინციპებს.

კომისია გადაწყვეტილებას იღებს განცხადების დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. დაუშვებელია ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც გააუარესებს სტუდენტის შეფასებას.

კომისიის მუშაობა მიმდინარეობს კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. გადაწყვეტილება საბოლოოა და შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით.

18. სასწავლო რესურსი

უნივერსიტეტს ძლიერი სასწავლო რესურსი გააჩნია, რაც მას არა მარტო სწავლების, არამედ სწავლის ორგანიზაციის სტატუსს სძენს. ეს ახალი ტერმინია თანამედროვე უმაღლესი განათლების სისტემაში, რაც იმას ნიშნავს, რომ უნივერსიტეტი ქმნის ყველა პირობას ინდივიდუალური, დამოუკიდებელი და გუნდური მუშაობისათვის.

ბიბლიოთეკა

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მეექვსე სართულზეა განლაგებული. მას მდიდარი წიგნადი ფონდი აქვს. ის მოიცავს როგორც ბუკინისტურ, ისე თანამედროვე ლიტერატურას, სახელმძღვანელოებს, დამხმარე სახელმძღვანელოებს და პერიოდიკას. ციფრული რესურსი კი უფრო მრავალფეროვანია. აქ შესაძლებელია სასწავლო ფილმების, აუდიო მასალის, წიგნების, მოიძიება.

იმ შემთხვევაში, თუ სასურველი წიგნი ბიბლიოთეკაში არ აღმოჩნდება, შესაძლებელია შეკვეთის ფორმის შეავსება და ბიბლიოთეკა ორგანიზაციას გაუკეთებს მის შექმნას.

ბიბლიოთეკა აღჭურვილია ანბანური და სისტემური კატალოგებით, კომპიუტერული და სხვა აუდიო – ვიზუალური ტექნიკით, 24 საათიანი ინტერნეტით. ბიბლიოთეკით სარგებლობისათვის დადგენილია შესაბამისი წესები, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ გვერდის ბიბლიოთეკის ინტერფეისზე.

ბიბლიოთეკა მუშაობს 10:00 საათიდან 21:00 საათამდე.

საინფორმაციო ტექნოლოგიები

კომპიუტერული სასწავლო აუდიტორია მდებარეობს მესამე სართულზე. ის აღჭურვილია უახლესი ტექნიკითა და შესაბამისი პროგრამებით, ჩართულია ინტერნეტში.

უნივერსიტეტს აქვს საკუთარი ვებ გვერდი, რომლითაც სტუდენტს შეუძლია მიიღოს სხვადასხვა სახის ინფორმაცია, ამავე დროს, აქ განთავსებულია აკადემიური პროცესის მართვის ელექტრონული პროგრამა ნექსუსი, რომლის საშუალებითაც სტუდენტს შეუძლია თვალყურის ადევნოს საკუთარი სწავლის პროცესს, უფრო ეფექტურად დაგეგმოს საკუთარი აკადემიური თუ პიროვნული განვითარება.

სისტემით სარგებლობისთვის საჭიროა რეგისტრაციის გავლა. ამისათვის სტუდენტს რეგისტრაციის დღესვე ურიგდებათ პირადი კოდი.

რეგისტრაციის შემდეგ, შეაძლებელია ავტორიზაცია, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტს:

1. დაათვალიეროს და ამოიხსნოს საანკეტო მონაცემები (სტუდენტის ანკეტა);
2. გაეცნოს და ამოიხსნოს შეფასებები კურსების მიხედვით;
3. გაეცნოს და ამოიხსნოს გაცდენები კურსების მიხედვით;
4. თავად აირჩიოს საუნივერსიტეტო არჩევითი კურსები;
5. გაეცნოს აკადემიური პროგრამის სილაბუსებს;
6. პერიოდულად შეცვალოს სისტემაში შესასვლელი პაროლი, რათა დარწმუნებული იყოს ინფორმაციის კონფიდენციალობაში.
7. დაათვალიეროს და ამოიხსნოს აკადემიური ცნობა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას:
 - გავლილი დისციპლინების და შესაბამისი შეფასებების შესახებ;
 - დაგროვილი და დარჩენილი კრედიტების შესახებ.

პროგრამის ადმინისტრატორია ქალბქტონი ნათია ტაბატაძე

დაცული გვერდები არის უნივერსიტეტის ვებ გვერდზე. ამ გვერდებით სარგებლობისთვის გამოიყენება ნექსუსისთვის მინიჭებული პაროლი.

საინფორმაციო ქსელების ადმინისტრირების ცენტრის ხელმძღვანელია ვოვა ბურჭულაძე. მასთან შესაძლებელია ნებისმიერი ხასიათის კონსულტაციის მიღება.

აუდიო-ვიდეო ლაბორატორია

ეს ლაბორატორია გამიზნულია არა მარტო უცხო ენის სააუდიტორო ფორმატით სწავლებისთვის, არამედ დამოუკიდებელი მუშაობისათვისაც. არა სალექციო პერიოდში სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ აუდიო-ვიზუალური ტექნიკით და შესაბამისი მასალით. დამოუკიდებლად იმუშაონ საკუთარ თავზე, დახვეწონ ენობრივი ჩვევები. ცენტრი მდებარეობს მესამე სართულზე.

ლაბორატორიები

ყველა სკოლას არაერთი ლაბორატორია და ცენტრი აქვს, რომელიც ასევე სტუდენტის სამსახურშია. ესენია: კრიმინალისტიკის სასწავლო-საექსპერტო ლაბორატორია,

რომელიც ერთადერთია საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის; სიმულაციური სასამართლო დარბაზი; სატელევიზიო სტუდია; საპრეპარაციო-ექსპერიმენტული ლაბორატორია; საფანტომო ტრენაჟორული ლაბორატორია; ქიმიის; ბიოფიზიკის ლაბორატორიები, სტომატოლოგიური კლინიკა; კვლევითი ინსტიტუტები, ცენტრები და სხვ.

19. სასწავლო რესურსით სარგებლობა

საკუთარი აკადემიური პროგრესისა და სამეცნიერ-კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების უზრუნველსაყოფად სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საინფორმაციო-ტექნოლოგიური და საბიბლიოთეკო რესურსით როგორც პასუხისმგებელი პირის თანდასწრებით/ხელმძღვანელობით ისე დამოუკიდებლად.

რესურსით სარგებლობისას იგი ვალდებულია დაიცვას შესაბამისი წესები.

ტექნიკის ან ფიზიკური ერთეულების დაზიანების/დაკარგვის შემთხვევაში სტუდენტს შეიძლება დაეკისროს ფინანსური საზღაური ზარალის ანაზღაურებისათვის.

20. სტუდენტთა მხარდაჭერა

სტუდენტური სერვისის სამსახური

ეს სამსახური განლაგებულია მესამე სართულზე. აქ შესაძლებელია ყველა საჭირო ინფორმაციის მიღება, მათ შორის, მობილობის შესახებ.

სამსახურის ხელმძღვანელია ფიქრია ბერიძე.

კარიერის ცენტრი

სტუდენტთა განკარგულებაშია კარიერის ცენტრი, რომლის ორგანიზებით ტარდება ტრენინგები სხვადასხვა კარიერული უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის. შესაბამისი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია უნივერსიტეტის ვებ გვერდით.

ცენტრს ხელმძღვანელობს თამარ თავხელიძე რომელიც, ამავედროულად, მარკეტინგის სამსახურის უფროსიც არის.

სტუდენტური თვითმმართველობა

სტუდენტური თვითმმართველობა აერთიანებს თითქმის ყველა სტუდენტს. ეს ორგანიზაცია საშუალებას აძლევს თითოეულ მათგანს სრულად მოახდინოს საკუთარი თავის რეალიზაცია. თვითმმართველობის პრეზიდენტი დავით სარიშვილია ხოლო ოფისი IV სართულზეა განლაგებული.

თვითმმართველობა მჭიდროდ თანამშრომლობს უნივერსიტეტის კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიებების ორგანიზაციის სამსახურთან, რომლის ხელმძღვანელია ნატო დოლიძე და და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან, რომელსაც ხელმძღვანელობს ქეთი აფციაური.

საერთაშორისო ინტეგრაცია

სტუდენტებს საერთაშორისო პროგრამებში ჩაბმის ფართო არჩევანი აქვთ. ინფორმაცია კონკრეტული პროგრამის შესახებ განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე, დეტალური ინფორმაციისათვის კი სტუდენტებს შეუძლიათ მიმართონ საერთაშორისო ინტეგრაციის ცენტრს (IV სართული), რომელსაც ხელმძღვანელობს პროფესორი ნინო ქემერტელიძე.

21. ინფორმაციით სარგებლობა

უნივერსიტეტში ძირითადი საინფორმაციო წყაროებია უნივერსიტეტის ვებ გვერდი, სტუდენტის ელექტრონული ფოსტა და საინფორმაციო დაფები. ეს რესურსები მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენების მართვასა და ამ მოვლენებში სტუდენტთა მონაწილეობის თვალსაზრისით.

სტუდენტი ვალდებულია თვალყური ადევნოს სამივე საინფორმაციო წყაროს.

ყოველი სამართლებრივი აქტი, რომელიც განთავსდება უნივერსიტეტის ვებ გვერდსა და/ან საინფორმაციო დაფებზე ითვლება ძალაში შესულად, შესაბამისად, მიზეზი ინფორმაციის არ ცოდნის შესახებ არ ჩაითვლება საფუძველად ამ აქტებით დადგენილი ნორმიდან გადაცდომის გასამართლებლად.

22. ფინანსური მხარდაჭერა და დისციპლინა

სტუდენტს ფინანსური ვალდებულება წარმოეშება შემადგენელი ხელშეკრულებით განსაზღვრულ პერიოდზე გაანგარიშებით, ხოლო ეს ვალდებულება ეხსნება სტუდენტის სტატუსის შეჩერების ან შეწყვეტის მომენტიდან.

საბუთების გატანის შემთხვევაში (ნებისმიერი მიზეზით) თუ სტუდენტს გადახდილი აქვს სწავლის და/ან დამატებითი სერვისის საზღაური – უბრუნდება სწავლის საზღაურის ის ნაწილი, რომელიც დადგინდება კალენდარული წლის იმ პერიოდზე გაანგარიშებით, ვიდრე გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ.

თუ სტუდენტს ფინანსური დავალიანება წარმოეშვა (დამატებითი სერვისის საზღაურის ჩათვლით), სტუდენტის სტატუსის შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე, იგი ვალდებულია დაფაროს სწავლის საზღაურის ის ოდენობა, რაც დადგინდება ამ აქტის გამოცემამდე პერიოდზე გაანგარიშებით, ხოლო დამატებითი სერვისის საზღაური უნდა გადაიხადოს მთლიანად. ამის შემდეგ გაიცემა შესაბამისი დოკუმენტები.

გაუთვალისწინებელი ფინანსური პრობლემის შემთხვევაში, სტუდენტმა დაუყონებლივ უნდა მიმართოს ადმინისტრაციას (კანცელარიის გამგეა ქალბატონი ლალი ციხისელი) დასაბუთებული განცხადებით, წინააღმდეგ შემთხვევაში ავტომატურად შევა ძალაში ხელშეკრულების და/ან სტუდენტის სტატუსის შეჩერების პროცედურა.

სემესტრის შედეგებით ყველაზე მაღალი რეიტინგის სტუდენტები განთავისუფლდებიან სწავლის გადასახადისგან, შესაბამისად, 100-70-50 პროცენტით. ამით, უნივერსიტეტი ცდილობს გაზარდოს სტუდენტის სწავლის მოტივაცია, იზრუნოს ნიჭიერი და შრომისმოყვარე სტუდენტების ხელშეწყობაზე.

გისურვებთ წარმატებას...